საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 191-02
03/02/2026

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების”, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 29 იანვრის N1286-35 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 2 თებერვლის N2 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2026 წლის 27 თებერვლიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე;

2.კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საინფორმაციო ფორმა (შევსებული);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ორი ფოტოსურათი 3X4;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ასლი (უცხოეთში მიღებული აკადემიური ხარისხის შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);

ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;

ზ) ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა (სილაბუსი);

თ) CV ქართულ და ინგლისურ ენაზე;

ი) ცნობა არანაკლებ ორწლიანი სამეცნიერო პედაგოგიური გამოცდილების თაობაზე.

კ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან / და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება);

4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს ამ ბრძანების მესამე პუნქტით გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით;

5. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება მოხდება უფლებამოსილი ორგანოს აკადემიური საბჭოს ან აკადემიური საბჭის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

ა) კანდიდატის უნარი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში;

ბ) პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება;

გ) სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში);

დ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების გამოცდილება;

6. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში, მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, 2026 წლის 31 მარტიდან 2026 წლის 17 აპრილის ჩათვლით.

7. საბუთები უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: info@iliauni.edu.ge.

8. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2026 წლის 4 მაისს, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.

9. გამარჯვებული კანდიდატი ვალდებული იქნება სასწავლო კვირაში დაიტვირთოს მინიმუმ 10-12 აკადემიური საათით და დაიცვას უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური პერსონალის აფილაციის წესი.

10. იმ კანდიდატთა საკონკურსო განაცხადები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ ამ ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ინახება საკონკურსო შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.

11.ამ ბრძანების მე-10 პუნქტში მითითებულმა პირებმა, საკონკურსო განაცხადის დაბრუნების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს განცხადებით უნდა მიმართონ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

12. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კონკურსანტის მიერ გამოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტები "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. კონკურსანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მხრიდან დამუშავდება შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის.

13. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია / დოკუმენტაცია;

14. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

15.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი